

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №74
2018 წლის 22 ივნისი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ დიმიტრაძე

დანართი

ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

თავი I

ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შემოსავლები	13 269 052	14 335 002	10 379 150
გადასახდელები	3 121 395	5 195 309	5 280 000
გრანტები	9 678 666	8 519 910	4 753 400
სხვა შემოსავლები	468 991	619 783	345 750
ხარჯები	7 050 432	8 487 888	6 984 975
შრომის ანაზღაურება	1 675 349	2 690 672	3 332 651
საქონელი და მომსახურება	1 255 189	2 767 610	2 546 613
პროცენტი	0	0	0
სუბსიდიები	2 402 245	3 000	3 000
გრანტები	369 311	230 000	215 000
სოციალური უზრუნველყოფა	611 631	487 866	480 779



სხვა ხარჯები	736 707	2 308 740	406 932
საოპერაციო საღდო	6 218 620	5 847 114	3 394 175
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 973 863	6 135 956	3 692 244
ზრდა (შემცენა)	5 978 476	6 138 210	3 692 244
კლება (გაყიდვა)	4 613	2 254	0
მთლიანი საღდო	244 757	-288 842	-298 069
ფინანსური აქტივების ცვლილება	214 290	-370 516	-298 069
ზრდა	214 290	6 500	0
ვალუტა, დეპოზიტები	214 290	6 500	0
სესხები	0	0	0
კლება	0	377 016	298 069
ვალუტა, დეპოზიტები	0	377 016	298 069
სესხები	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	-30 467	-81 675	0
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	30 467	81 675	0
სესხები	0	0	0
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შემოსულობები	13 273 665	14 337 256	10 379 150
შემოსავლები	13 269 052	14 335 002	10 379 150
არაფინანსური აქტივების კლება	4 613	2 254	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	13 059 375	14 714 272	10 677 219
ხარჯები	7 050 432	8 487 888	6 984 975
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 978 476	6 138 210	3 692 244
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)		6 500	0



ვალდებულებების კლება	30 467	81 675	0
ნაშთის ცვლილება	214 290	-377 016	-298 069

მუხლი 3. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10 379 150 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შემოსულობები	13 273 665	14 337 256	10 379 150
შემოსავლები	13 269 052	14 335 002	10 379 150
გადასახადები	3 121 395	5 195 309	5 280 000
გრანტები	9 678 666	8 519 910	4 753 400
სხვა შემოსავლები	468 991	619 783	345 750
არაფინანსური აქტივების კლება	4 613	2 254	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5 280 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	3 121 395	5 195 309	5 280 000
საშემოსავლო გადასახადი	365 481	308 002	280 000
ქონების გადასახადი	2 755 914	4 887 307	5 000 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 446 301	4 579 737	4 600 000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	0	0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 603	2 157	2 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	179	2 143	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	307 831	303 270	398 000

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4 753 400 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	9 678 666	8 519 910	4 753 400
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	35 195	0
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები	0	0	0



სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	9 678 666	8 484 715	4 753 400
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 986 000	3 506 000	1 456 000
მიზნობრივი ტრანსფერი	0	0	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	2 635 642	2 843 966	3 297 400
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	237 829	2 134 749	0
სპეციალური ტრანსფერი	819 195	0	0
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	819 195	0	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 345 750 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	468 991	619 783	345 750
შემოსავლები საკუთრებიდან	235 877	336 096	270 750
პროცენტები	128 924	221 203	155 750
დივიდენდები	0	0	0
რენტა	106 953	114 893	115 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	102 153	110 093	115 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	4 800	4 800	0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5 014	13 408	9 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	5 004	13 408	9 000
სანებართვო მოსაკრებელი	1 288	10 844	5 000
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	210	0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	3 716	2 354	4 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10	0	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	10	0	0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	35 547	20 874	26 000
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	40 000	170 739	0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	152 553	78 666	40 000



მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6 984 975 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
2	ხარჯები	7 050 432	8 487 888	6 984 975
21	შრომის ანაზღაურება	1 675 349	2 690 672	3 332 651
22	საქონელი და მომსახურება	1 255 189	2 767 610	2 546 613
25	სუბსიდიები	2 402 245	3 000	3 000
26	გრანტი	369 311	230 000	215 000
27	სოციალური უზრუნველყოფა	611 631	487 866	480 779
28	სხვა ხარჯები	736 707	2 308 740	406 932

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3 692 244 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3 692 244 ლარის ოდენობით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 246 144	2 098 488	2 422 435
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	8 912	3 992	5 000
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5 178 980	5 292 637	3 921 116
05 00	განათლება	2 006 306	2 016 744	1 788 820
06 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2 652 845	2 045 757	1 604 390
07 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	966 188	3 256 653	935 458
	სულ ჯამი	13 059 375	14 714 272	10 677 219

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით;

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	4 613	2 254	0
ძირითადი აქტივები	0	0	0
არაწარმოებული აქტივები	4 613	2 254	0



მიწა	4 613	2 254	0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0	0	0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 10 677 219 ლარით.

701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 245 645	2 091 988	2 422 435
7011	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 245 645	2 091 988	2 422 435
70111	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 245 645	2 091 988	2 250 112
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	172 323
702	თავდაცვა	8 912	3 992	5 000
704	ეკონომიკური საქმიანობა	796 274	2 320 991	307 988
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	22 195	84 401	70 000
70421	სოფლის მეურნეობა	22 195	84 401	70 000
7045	ტრანსპორტი	774 079	2 236 590	237 988
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	660 618	2 176 664	154 628
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	113 461	59 926	83 360
705	გარემოს დაცვა	801 002	385 109	304 379
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	472 175	178 543	66 000
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	328 827	206 566	238 379
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 568 200	2 731 687	3 308 749
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	460 745	1 137 833	1 402 744
7063	წყალმომარაგება	1 670 766	1 003 590	1 419 597
7064	გარე განათება	309 996	296 147	290 000
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 126 693	294 117	196 408
707	ჯანმრთელობის დაცვა	178 048	429 035	562 920
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	178 048	429 035	562 920
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 367 352	1 762 740	1 298 660
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	704 017	618 825	317 280
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 638 870	1 138 145	973 380
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	24 465	5 770	8 000
709	განათლება	2 275 335	2 332 329	2 094 550



7091	სკოლამდელი აღზრდა	1 133 725	1 214 837	1 425 873
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 141 610	1 117 492	668 677
710	სოციალური დაცვა	788 140	2 469 442	372 538
7107	სოციალური გაუცხოების საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	36 600	36 500	39 238
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	751 540	2 432 942	333 300
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		13 028 908	14 527 312	10 677 219

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 298 069 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 298 069 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 298 069 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	214 290	-370 516	-298 069
ზრდა	214 290	6 500	0
ვალუტა, დეპოზიტები	214 290	6 500	0
სესხები	0	0	0
კლება	0	377 016	298 069
ვალუტა, დეპოზიტები	0	377 016	298 069
სესხები	0	0	0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-30 467	-81 675	0
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	30 467	81 675	0
სესხები	0	0	0

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 61 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

განისაზღვროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 111 323 ლარის ოდენობით. მისი განკარგვა განხორციელდეს 2018 წლის საბიუჯეტო ასიგნებიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გამწვევ პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, გამწვევ პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება გარე განათების, გამწვანების, სანიტარიული დასუფთავების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, კეთილმოწყობის, ასევე განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მგზავრთა ტრანსპორტირების მომსახურება.

2.1.1 მგზავრთა მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 02)

მოსახლეობის თხოვნით მოქმედებს მგზავრთა უფასო ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის თანახმად მომსახურება ხორციელდება ხულო-ბეშუმის, ღორჯომი-ზორტიყელის, ხიხადირის, ვაშლოვანის და დიდაჭარის მთების მიმართულებით უფასო მიკროავტობუსებით, რომლის აუცილებლობაც გამოწვეულია მგზავრთა სიმრავლით.

2.1.2 სპეციალური ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 03 01 08)

ხულოს მუნიციპალიტეტში თავისი რელიეფური და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ხშირია სხვადასხვა სტიქიური მოვლენები, რისი შედეგების სალიკვიდაციოდ და ოპერატიული რეაგირებისათვის აუცილებელია სპეციალური ტექნიკის შეძენა. ასევე შესაძლებელი იქნება ზაფხულის ცხელ პერიოდში გზების მორწყვა.

2.1.3 მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის



მუნიციპალიტეტში მრავლად არის შიდა სასოფლო გზებზე ისეთი მონაკვეთები, სადაც ავტომანქანით მისვლა ჭირს და მოსახლეობას ხშირად უხდებთ ფეხით გადაადგილება და ტვირთის ხელით გადაზიდვა. პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოსაგვარებლად იქ, სადაც უფრო მეტად პრობლემატური მონაკვეთებია დაგეგმილია ბეტონის საფარის მოწყობა.

2.1.4 მუნიციპალიტეტის სოფლებში (მეკეიძეები, განახლება, ვანაძეები, დანისპარაული, ბოძაური, გელაური) ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია - რემონტი (პროგრამული კოდი 03 01 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ მეკეიძეებში ახალი ხიდის მშენებლობა, რადგან არსებული ხიდი მთლიანად მოშლილი და ამორტიზირებულია, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება, ხოლო სოფელ განახლებაში, ვანაძეებში, დანისპარაულში, ბოძაურში და გელაურაში დაგეგმილია არსებული ხიდების რეაბილიტაცია.

2.2. ა(ა)იპ „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა (პროგრამული კოდი 03 02)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებულად დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო-თაგოს“ სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ტრანსპორტით სარგებლობს როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ასევე დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს ტურისტულ ჯგუფებშიც. ბაგირგზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა. ბაგირგზის მცირე შემოსავლების გამო მის ფუნქციონირებას ფინანსურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

2.3 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-რეაბილიტაცია, საპროექტო-საკადასტრო სამუშაოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

2.3.1 გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „გარე განათების მოვლა: – ექსპლოატაციის“ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელების სრულყოფას, განათების თანამედროვე წყაროების, ახალი მასალების გამოყენებას, ღამით უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობას. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 84 დასახლებულ პუნქტში 5330-მდე წერტილის მომსახურება.

2.3.2 სანიტარიული დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, „საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის“ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანსპორტირება ქალაქ ბათუმში ლეგალურ ნაგავსაყრელზე.

2.3.3 ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისი (პროგრამული კოდი 03 03 03)

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოვლა-დასუფთავებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანას დაბისა და ადმინისტრაციული ცენტრებიდან, მუნიციპალური საპირფარეოების მოვლას, გამწვანებითი ღონისძიებების განხორციელებას, ასევე უზრუნველყოფს შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.



2.3.4 უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო და მაწანწალა ცხოველების რაოდენობა ბოლო წლებში მატულობს, რაც საშიში დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების იზოლირება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.3.5 ა(ა)იპ ხულოს წყალკანალი (პროგრამული კოდი 03 03 05)

ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“ ახორციელებს დაბა ხულოსა და მუნიციპალიტეტში არსებული 26 წყალსადენის მოვლასა და წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფას. დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა წყალსადენი 24 საათიანი რეჟიმით უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას. ასევე უზრუნველყოფს დაბის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვას.

2.3.6 წყალსადენების რეაბილიტაცია-რემონტი, სახანძრო ავზების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

- მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანა (გარდამავალი) – დაბის მოსახლეობის სასმელი წყლით უკეთ მომარაგებისათვის დაგეგმილია მთა საჯოგიადან ნეგოიანის წყალსადენზე სასმელი წყლის მიყვანა, რითაც გაიზრდება წყლის დებეტი. აღნიშნული სამუშაოები დაიწყო 2016 წელს და დასრულდება 2018 წელს.

- ასევე დაგეგმილია ტუნაძეების სასმელი წყლის, დიდაჭარის სასმელი წყლის მაგისტრალის, უჩხოს სასმელი წყლის მაგისტრალის და ოქრუაშვილების სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია – არსებული წყალსადენი მოშლილია და საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას.

- საჯოგიასა და ნეგოიანის წყალსადენების კვეთიდან ბაბანური ხულოს წყალსადენის ქსელის სათავე ნაგებობამდე მაგისტრალის მოწყობა – წინა წლებში ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოძიებული იქნა სასმელი წყლის ახალი დებეტი დაბა ხულოს და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, დაიგეგმა და განხორციელდა სამუშაოები მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე d-219 მმ დიამეტრის მილებით სასმელი წყლის მოსაყვანად. მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია ნეგოიანიდან ბაბანურის სათავე ნაგებობამდე არსებული d-159 მმ მაგისტრალის გასწვრივ ახალი მაგისტრალის მოწყობა, რომლის მეშვეობითაც მთა საჯოგიადან აღებული სასმელი წყალი მოყვანილი იქნება ბაბანურის სათავე ნაგებობამდე, საიდანაც იგი უკვე არსებული მილებით მოხვდება დაბა ხულოს სასმელი წყლის გამანაწილებელ რეზერვუარში. აღნიშნული გაზრდის როგორც ზაფხულის (გვალვების) პერიოდში წყლის დებეტს, ასევე შესაძლებელს გახდის უხვი ნალექის შემთხვევაში მღვრიე ბაბანურის წყალი ჩანაცვლდეს ალტერნატიული სასმელი წყლით.

2.3.7 საპროექტო-საკადასტრო აზომვები და საექსპერტო მომსახურება, სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების განხორციელება, ასევე მიმდინარე და შემდგომი წლების პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ესკიზური ნახაზების შედგენა.

2.3.8 სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 08)

რიყეთში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა – სოფელი რიყეთი მდებარეობს ბათუმი-ხულო-ახალციხის გზაზე, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველდღიურად გადაადგილდება სხვადასხვა მიმართულებით, გაზრდილია ტურისტული ნაკადების მოძრაობა, აქვეა განთავსებულია რამდენიმე მუნიციპალური შენობა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა აქ არსებული საკანალიზაციო ქსელის მდგომარეობა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებისაგან.

დიდაჭარაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა – სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრში



განთავსებულია რამოდენიმე მუნიციპალური შენობა, სადაც ყოველდღიურად თავს იყრის მოსახლეობის დიდი ნაწილი. იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი საკანალიზაციო სისტემა, ხშირად იქმნება მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების საფრთხე. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილია საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, რომლის სამუშაოები მიმდინარეობს 2017 წლიდან და დასრულდება მიმდინარე წელს.

კურორტ ბეშუმის შიდა გზების მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხებზე (კივუეტი) ცხაურების მოწყობა

აღნიშნულ ტერიტორიაზე გასულ წლებში კეთილმოეწყო საავტომობილო გზები ასფალტის საფარით და გაკეთდა სანიაღვრე არხები, რამაც მოგვცა ქვეითად თუ ავტომანქანებით გადაადგილების კომფორტული საშუალება, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია გზების მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხებზე ცხაურების მოწყობა, რათა დაცული იყოს მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების საშუალება.

2.3.9 ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა–შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, წლის განმავლობაში აუცილებელი და გადაუდებელი მიწის სამუშაოების განხორციელება.

2.3.10 „დაბა ხულო ამორტიზებული და საცხოვრებლად უვარგისი სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საცხოვრებელი ფართის შეძენა (პროგრამული კოდი 03 03 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია იმ ფიზიკური პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ ბარაკულ ან/და ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში და წარმოადგენს საფრთხის შემცველს იქ მცხოვრებლებათვის, ასევე ის ფართები რომლებიც ამახინჯებენ დაბის იერსახეს.

2.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში დაბა ხულოში ტბელ აბუსერიძის ქუჩის №1 და №2 შენობების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სოფელ ღორჯომში მდინარე ღორჯომისწყლის (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია) არსებული რკინაბეტონის მილოვანი კანალიზირების გაგრძელება, კურორტ ბეშუმის საავტომობილო გზების მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკების (ტროტუარების) მოწყობა, მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება.

2.4.1 მუნიციპალური სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

- დაბა ხულოში ტბელ აბუსერიძის ქუჩის №1 და №2 შენობების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა – აღნიშნული ტერიტორია თავისი ფუნქციითა და მდებარეობით გამოირჩევა ხალხმრავლობით და ვიზიტორთა სიმრავლით. აუცილებელია მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

- სოფელ ღორჯომში მდინარე ღორჯომისწყლის (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია) არსებული რკინაბეტონის მილოვანი კანალიზირების გაგრძელება – ღორჯომის ცენტრის მიმდებარედ ჩამოედინება მდინარე, რომელიც საფრთხეს უქმნის იქ განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, კერძოდ საცხოვრებელ სახლებს, სკოლას, კულტურის სახლს, საკულტო დაწასებულებას – მეჩეთს. დაგეგმილია მდინარის კალაპოტის კაპიტალური მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებული მეწყერული პროცესების შეჩერებას.

- კურორტ ბეშუმის საავტომობილო გზების მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკების (ტროტუარების) მოწყობა – აღნიშნულ ტერიტორიაზე გასულ წლებში კეთილმოეწყო საავტომობილო გზები ასფალტის საფარით, რამაც მოგვცა ავტომანქანებით გადაადგილების კომფორტული საშუალება, მაგრამ იმის გამო, რომ არარის მოწყობილი გზის მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკები ქვეითად მოსიარულეებს ექმნებათ მშვიდად გადაადგილების საფრთხე. დაგეგმილია საავტომობილო გზების მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, რაც მოგვცემს იქ მყოფი დამსვენებლის თუ ტურისტის უსაფრთხოდ და



კომფორტულად გადაადგილების საშუალებას.

2.4.2 მუნიციპალური შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 03)

- **მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება** – მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ცალკეული ადმინისტრაციული შენობები საჭიროებს ელექტროენერგიით უზრუნველყოფას და შესაბამისად გამრიცხველიანებას, რისკენაც მიმართულია აღნიშნული ღონისძიების განხორციელება.

2.5 სოფლის მეურნეობა (პროგრამული კოდი 03 06)

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და მისი განვითარება, რომელთაგანაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას. ამ კუთხით მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს მოსახლეობაზე ხელშეწყობას ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების განვითარების მხრივ.

2.5.1 ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 06 01)

სოფლის მეურნეობის საქმიანობას, რომელთაგანაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას, მოსახლეობა აწარმოებს როგორც რძესა და რძის პროდუქტებს, ასევე ბაზარზე სარეალიზაციოდ გააქვთ ხორც-პროდუქტები, რომლის დამუშავება ცალკეულ შემთხვევებში ხდებოდა არაქარხნული წესით და ვერ აკმაყოფილებდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. შესაბამისად, აღნიშნული პროდუქტის გამოყენება საფრთხის შემცველია მოსახლეობისათვის, ასევე მოსახლეობის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს სასაკლაოებზე დაწესებული ტარიფები და დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ლიცენზირებული სასაკლაოების მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მოსახლეობის მაღალი ინტერესის გათვალისწინებით იქმნება „ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობას უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიურად სუფთა და სანიტარიული ნორმებით დამუშავებული პროდუქტის ბაზარზე შეტანით. პროგრამა განხორციელდება მოსახლეობის თანადაფინანსებით, სადაც მუნიციპალიტეტის წილი შეადგენს 80%-ს. ყოველივე ეს ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს უფრო განავითარონ მესაქონლეობის დარგი და ხორცისა და ხორც-პროდუქტების რეალიზაციისას დაცული იქნება სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი მშენებლობა-რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით სკოლამდელ განათლებას მიიღებს დაახლოებით 790 ბავშვი. მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ინვენტარით და ტექნიკით, რათა ბავშვებს მიეცეთ ნორმალური და სრულყოფილი განვითარების საშუალება.

3.2 საბავშვო ბაღების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების მშენებლობას და რემონტს. 2018 წლისათვის დაგეგმილია და გრძელდება საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ზედა ვაშლოვანში, ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი), სოფელ ბელღეთში ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი), სოფელ ბოძაურში ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი). ასევე მიმდინარე წელს დასრულდება უჩხოს საბავშვო ბაღის და სოფლის კლუბის კეთილმოწყობა.



4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, წახალისებას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებითა და შედეგებით, რაზეც ნათლად მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ მიღწეული არაერთი გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა, ამ კუთხით აუცილებელია კიდევ უფრო ფართო ღონისძიებების გატარება, რაც გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებების პროგრამაში, ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის საქმიანობაში და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

4.1.1 ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის შემდგომი განვითარებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა, რომლის ფინანსურად უზრუნველყოფას ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტი. სკოლაში სწავლობს 370 ბავშვი, ფუნქციონირებს ჭიდაობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, სათხილამურო სპორტის, ჭადრაკის ჯგუფები. მეცადინეობები ტარდება სკოლის შემდგომ პერიოდში.

4.1.2 სპორტულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებში. ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განსაკუთრებული წარმატებები აქვთ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში (არიან ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიადის პრიზიორები), ვითარდება სათხილამურო სპორტი და ძალოსნობის სხვადასხვა სახეობები. წარმატებული სპორტსმენების წახალისება ხდება საჩუქრებით, ჯილდოებით და წლის ბოლოს გამორჩეული სპორტსმენები საჩუქრდებიან ფულადი ფორმით.

4.1.3 სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 05 01 04)

- ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბეშუმში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციას. აღნიშნული მოედანის ინფრასტრუქტურა თითქმის მთლიანად მოშლილია და საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას.

- დაგეგმილია კურორტ ბეშუმის მიმდებარე ტერიტორიაზე (გაფენილი წყალი – ვერხნალის უბანი) მინი-სპორტული მოედნის მშენებლობა – აღნიშნული ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მათში მყოფ ახალგაზრდა თაობის ჯანსაღ განვითარებას, ასევე ხელს შეუწყობს დამსვენებელთა რაოდენობის და მათი კმაყოფილების დონის ზრდას.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის აღზრდას, წარმოჩენას და გამოვლინებას ხელს უწყობს



მუნიციპალიტეტი. ამ კუთხით დაბაში მოქმედებს სახელოვნებო სკოლა, სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, კულტურის ცენტრი, ხორციელდება სხვადასხვა კულტურული პროგრამები თუ ღონისძიებები, კონფერენციები და ღირშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი საღამოები.

4.2.1 ა(ა)იპ – ხულოს სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

დაბა ხულოში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა, რომელიც ემსახურება ბავშვების სწავლა-განათლებას და აღზრდას სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, ეწყობა ანიმაციური ფილმები, მზადდება ბავშვთა თეატრალური გამოსვლები, რითაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები და ნიჭი აღნიშნული დარგის მიმართ. სკოლაში სწავლობს 109 ბავშვი.

4.2.2 ა(ა)იპ – ხულოს კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის დაგაგრძელების მიზნით ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი, რომლის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. კულტურის ცენტრი ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, ქმნის შესაბამის პირობებს, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს ფოლკლორული და ქორეოგრაფიული წრეები, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი. თემებში არსებული კლუბები ხელს უწყობენ ადგილობრივ მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ქორეოგრაფიული თუ სხვა ტრადიციების შენარჩუნებას და წარმოჩენას (ბერძენა, ქალთა ფოლკლორული ჯგუფები და სხვა).

4.2.3 სსიპ – ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი საკუთარი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, შესაბამისად საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რათა კვლავინდებურად გააგრძელოს თავისი ტრადიციები. თეატრი ახორციელებს წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის სპექტაკლების წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღებას.

4.2.4 კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, წარმატებული ახალგაზრდობის წახალისებას საჩუქრებით და საინტერესო პროექტების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული ღონისძიებების მათ შორის შუამთობის, ტბელობის, დიდაჭარობის ორგანიზება-ჩატარებას, რომლის დროსაც იმართება კონცერტები, სპორტული და სხვა შეჯიბრებები. ტარდება სტუდენტებთან და წარჩინებულ მოსწავლეებთან, დამსახურებულ პედაგოგებთან შეხვედრები. თვითშემოქმედი კოლექტივები და კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა ანსამბლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში, როგორც რესპუბლიკურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

4.2.5 ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობისა და ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებთან მუშაობას, რომლის მიზანია ახალგაზრდებში შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება. აგრეთვე ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

4.2.6 ა(ა)იპ კურორტი ბეშუმში (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბეშუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, კურორტის ტერიტორიის დასუფთავებას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მომსახურებას, ზამთრის პერიოდში ინფრასტრუქტურის დაცვის და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა დაავადებებისაგან. ასევე მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები მოწოდებულია, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა ეპილევსიით დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა, სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

5.1.1 ა(ა)იპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიების მომსახურების გაუმჯობესებას (სულ 11 ამბულატორია), რისთვისაც ა(ა)იპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი უზრუნველყოფს ექიმებს მედიკამენტებით და სხვა მიმდინარე ხარჯებით (მძღოლის ხელფასი, საწვავი, ავტომანქანის რემონტი, ავტომანქანის დაზღვევა, ოფისის ხარჯები და სხვა), რაც მოგვცემს ამბულატორიების გამართული და ეფექტური მუშაობის საშუალებას. ასევე გათვალისწინებულია სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მომსახურების განხორციელება (მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენა-მიწოდება), რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს თემის სამედიცინო პუნქტების მუშაობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

5.1.2 ეპილევსიით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ეპილევსიით დაავადებული ბავშვების თუ მოზარდების ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 110 ბენეფიციარზე.

5.1.3 პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 11 ბენეფიციარზე.

5.1.4 ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 06 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბა ხულოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობას.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა – დღეის მდგომარეობით, სადაც განთავსებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ვერ უზრუნველყოფს საჭირო ფუნქციას, რის გამოც გათვალისწინებულია დაბა ხულოში ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო მოქნილს და ოპერატიულს გახდის აქ არსებული პერსონალის მუშაობას, ხოლო შექმნილი კომფორტული და მოსახერხებელი გარემო უზრუნველყოფს მოსახლეობის კიდევ უფრო სწრაფ და ხარისხიან სამედიცინო მომსახურების მიწოდებას.



5.1.5 ბრონქული ასთმით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბრონქული ასთმით დაავადებულ მოქალაქეთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 47 ბენეფიციარზე.

5.1.6 მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებზე მობილური გუნდების მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 06)

ქვეპროგრამის მიზანია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. აქედან გამომდინარე, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება სათემო მობილური გუნდის მიერ პაციენტთა მონაცემების შესწავლა-აღრიცხვა ადგილზე მისვლით და მათთვის საკონსულტაციო-ფსიქოლოგიური და მედიკამენტოზური მომსახურების გაწევა. გათვალისწინებულია ამბულატორიაში აღრიცხვაზე მყოფ 600 პაციენტის მონაცემების შესწავლა-მონიტორინგი და შესაბამისი დახმარების გაწევა.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

საზოგადოების ყველა წევრს არ შეუძლია ამა თუ იმ მიზეზების გამო უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონე, ამიტომ აუცილებელია შრომისუუნარო მოსახლეობზე, სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარება. განსაკუთრებით მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ ინვალიდები და ომის ვეტერნები, მრავალშვილიანი ოჯახები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები, ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული სოციალურად შეჭირვებული ოჯახები.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ხულოს მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია ერთი სასადილო დაბა ხულოში, რომელიც ემსახურება 43 ბენეფიციარს ყოველდღე უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით.

5.2.2 ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შედეგათვლით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანების, კერძოდ, ომის მონაწილე ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა სარიტუალო მომსახურების, მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. სადღესასწაულო დღეების დროს გათვალისწინებულია 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახებზე (სულ 2 ოჯახი) დახმარება 500 ლარის ოდენობით, ასევე გათვალისწინებულია 250 ვეტერანის თხევადი აირით უზრუნველყოფა ერთჯერადად. გათვალისწინებულია ა(ა)იპ – აჭარის არ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილი“-ს ხულოს რაიონული ფილიალის დაფინანსება 3000 ლარის ოდენობით წლის განმავლობაში.

5.2.3 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამით ხორციელდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი (70000 ჟულაზე ნაკლები) ოჯახების მატერიალური დახმარება, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას, საშუალოდ 76 ოჯახზე 300 ლარის ოდენობით.



5.2.4 ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური სტიმულირების მიზნით მოქმედი პროგრამა ითვალისწინებს ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ფინანსურ დახმარებას, კერძოდ, ყოველ მე-3 შვილზე – 500 ლარი, მე-4 შვილზე – 700 ლარი, მეხუთე და შემდგომზე – 900 ლარი. პროგრამა გათვლილია წლის განმავლობაში საშუალოდ 86 ბენეფიციარზე.

5.2.5 5 და 5-ზე მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მრავალშვილიანი ოჯახების სიმრავლით, რომელთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი (5 და მეტი შვილი) ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით, პროგრამა გათვლილია საშუალოდ 60 ოჯახზე.

5.2.6 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირების ხარჯებს. პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე და 17 თანხლებ პირზე.

5.2.7 ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიურ დაავადებულთა და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას არაუმეტეს 200 ლარისა. ქვეპროგრამა გათვლილია 200 ოჯახზე.

5.2.8 ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხარჯების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ტრანსპორტირებას ქ. ბათუმის კლინიკებში. პროგრამა გათვლილია 45 ბავშვზე და 45 თანხლებ პირზე.

5.2.9 საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 16)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სტიქიის შედეგად დაზარალებულ იმ ოჯახებზე ბინის ქირით ფინანსურ უზრუნველყოფას, რომელთაც არ აქვთ საცხოვრებელი სახლი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები 10 677 219 ლარის ოდენობით

პროგრამული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახ.ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი



